


# ପ୍ରତିମଦର୍ଶନ



1939

NF

**Nº 12**

ഡാക്ടേഷൻ

1939 ട.

ഭാഗമാദ്യാലോറാ കമ്മീഷൻ

രുഗ്ഗാർഡ്. മിസ്റ്ററാർട്ടിന്: തെരഞ്ഞെടുപ്പുക്കുന്നത്, ഫെബ്രുവരി 3, 1934  
റേഖ. നം. 3-02-61

# മുൻമത്ത്രാധികാരി

ശ്രീ. എ. എ. കെ. കുമാർ ഡാ. സാര്. ദിനംജപ്പരാഥൻ കുമാരത്താഴുറി നൂൽ

## ക്ലാർക്ക് അനുബന്ധസിന്ഹാ നൂൽ

83\*

- |  |     |
|--|-----|
| 1. ഏറ്റവും കുറവായ ചെറിയ പ്രസ്താവന (പ്രഖ്യാതി), — ക്ഷേമാർഥം (മന്ത്രഭരണം) . . . . .                | 1   |
| 2. കിട്ടുകൾ കൈഭരിച്ചിരുന്നി, — താമാര ഫാലിസ് ഫീഡിലി ഭേദാദി (ലൈംഗിക്) . . . . .                    | 3   |
| 3. പുസ്തക പാലാക്കാമ്പിലെ, — ഓൺലൈൻ ക്ഷേമാർഥം ഫീഡിലി ഗവർണ്ണർ സാംഗ്രാമിക്കുള്ളിൽ (ബൈബിളി) . . . . . | 3   |
| 4. സാംഭരണ മാറ്റേംറി, — സുരാ ഭേദാദികൾ ലൈംഗിക് (ലൈംഗിക്) . . . . .                                 | 9   |
| 5. ലാഭാരം കിട്ടുന്നതിൽ, — ജന്മനാടം (മന്ത്രഭരണം) . . . . .  | 10  |
| 6. ലാഭാരം പരിപാലനിപി, — ദാ സ്ക്രാംകിസ് മിനിന്റെ ശൃംഖലാമിഠം (ലൈംഗിക്) . . . . .                   | 12  |
| 7. അക്കാദി പിക്കിഡിലുപി, — ദിനംജപ്പരാഥൻ (മൈസൂരി) . . . . .                                       | 13  |
| 8. മുഖ്യ മന്ത്രാലയിൽ, — കുമാർ സാംഗ്രാമിക് (ലൈംഗിക്) . . . . .                                    | 15  |
| 9. പ്രശ്നാക്രിയാ സാമ്പാദി, — സ്ക്രാംകിസ് (ലൈംഗിക്) . . . . .                                     | 16  |
| 10. ലഭാരണ പൊന്താതാമ്പിലും, — സീരിലൂരാ ഭേദാദികൾ (ലൈംഗിക്) . . . . .                               | 16  |
| 11. പുസ്തകാ അബ്ദിപി, — സ്ക്രാംകിസ് ഫീഡിലും (ലൈംഗിക്) ഗാർജ്ജാനിസ് മേ-3 83.                        | 83. |
| 12. ടാബാർ ശാഖാക്കാമ്പിലും, — സെന്റ്രൽമിഡ്രൻ സിലൈറ്റും (ബൈബിൾ) ഗാർജ്ജാനിസ് മേ-4 83.               | 83. |

സാമീംഗ്രാം: മുൻമത്ത്രാധികാരി സ്ക്രാംകിസ് „സ്ക്രാംകിസ് പാപ്പിലിമാറ്റിം“ നശാർഹി ടി. കുമാരകുമാരൻ

ഗാർജ്ജാനിസ്: പ്രൈൻലിന്റെ, റഫറൻസിലും ഡാപ്രൈസാ സാംഗ്രാമിക്, സാംഗ്രാമിക് ഡാംബിംഗ് സ്ക്രാംകിസ്

സ്ക്രാംകിസ് ഗാർജ്ജാനിഗ്രാം ദാ ഗാർജ്ജാനിസ് മുഖ്യാർഥം പ്രസ്താവനിൽ സ്ഥാത്യാർ — റ. കുമാരകുമാരൻ  
സ്ക്രാംകിസ് സ്ക്രാംകിസ് — റ. കുമാരകുമാരൻ

പ്രാബല്യം കേന്ദ്രസ്ഥാപനിലും ഒരു കേന്ദ്രസ്ഥാപനിലും പ്രാബല്യം കേന്ദ്രസ്ഥാപനിലും പ്രാബല്യം കേന്ദ്രസ്ഥാപനിലും

ഗാർജ്ജാനിസ് പ്രഖ്യാതി 21/XI 39 ട.

ക്ലാസ്സിക്കൾക്ക് 60X92

ശ്രേണിപ്പേരിലും ദാശാദ്വീപ്പുഡി 14/XII—39 ട.

സ്ക്രാംകിസ് 20-ഗ്ര. 91/2X14



ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତର  
“ଶ୍ରୀଲୋକି ହାତରେଲାଗଣ”  
ନାଟ୍ଯ ଓ ଅଧ୍ୟାତ୍ମିକ  
ଅଚାର୍ଯ୍ୟମାନଙ୍କ ଏ ଛଳୀ ଉପରେ ଶୁଣୁଥିଲାମାଣି କାହାରେ

# ՀՅԱՅՐԴՅԱՆ

二四九

- ტყუანს!?
  - რა ტყუანს!?
  - ტყუანს გუებმეს კინქრიხო, რომ  
სალა ახლა არც ერთ კავალს არ მოხვდე-  
რია!
  - რას ლაპარაკობ, ბიჭო, ბრმა გქონ-  
და ეგ თვალები, რომ სალამ უკანასკნელი  
კავალი ისე გაანძრია, რომ გვერდზე მოლ-  
რია?

ასე კამათობდა 1891 წელს გორის სა-  
სულიერო სახუთავლებლის ქზოში ორი  
პატარა ბიჭი. მეორე გავეცოლის დასკვნე-  
ბა იყო. ეზო სავსე იყო ბავშვებით. ზოგი  
დარბოლდა, ზოგი ჯამბაზივით ყირამალა  
დეგბოლდა, ზოგი „წიო-წიოს“ თამაშობდა.  
იყო ფუსტუსი და ღრიანცელი, მაგრამ  
ამ ორ ბავშვს არავითარი ხმაურობა არ  
ესმორდა.

— რას მიკერძო? ვეღარ მიცან? — უფრო მაგრად წატურია შევმა თაღო ხინანაშვილმა სუსტ და მინაზებულ გიორგი ჩარევინს, კაცლების მწერივს მარდად დასწევდა და ორხეინად ჩაიჩრიალა ჯიბეში.

— არც კი გრტევენიან, სულ ეგრე შა-  
რობ, კაჯლები ისე მომტაცე, ერთიც კი  
აღარ დამრჩა, რომ დიდ „პერემენაზე“  
ჰყოს შევატანი, — წაიძურტყუნა გორ-  
გიმ, ამობრუნებული ჯიბე ისევ წაიძრუ-  
ნა და ის იყო კლასისაკენ უნდა გამობ-  
რუნებულიყო, რომ უცებ სოსო ჯუღა-  
შვილის წერილა ხმა მოისმა:

— ჰეი, ჰეი, ეკაც, სამი ქურდი ერთა-  
თო, ერთი მოკვდა, ერთი დარჩა, ერთი  
წყალში გადავარდა, — მოძღვროდა ჯუ-  
ლაშვილი და თაცლა და გიორგისკენ  
ასკინ ქილით მოხტოდა.

სოსომ რომ გიორგი დაღვრებილი სახით დაინახა, ფეხი უცებ ჩამოუშვა, გაყცინა, თვალები შუქით აეცს და გიორგის გვერდზე გამოხედა.

— აი შე ლიფსიტა, შენა! დღესაც წააგე,  
განი? სწყალი ბერძაშენი კაჟლისგან  
იმიტომ ვააჩანაგე, რომ სულ ამ შავ  
ტყიობს შეიქმნამე?

— მე რა ვწნა, სულ მშარობს, საღა  
რომ კავალის გვერდზე გაუვლის, ინძრაო,  
ხელად დააცხრება ხოლმე და იტაცებს!  
ნაწყვნი იოლოთი წამოიძახა გიორგიდ.  
— სოსო, თუ მას ხარ, კაელი რომ  
ინძრევა, მაში თამაში დასრულებული არ  
არის!

— ეს, მაგან თამაშის ჩა იცის, ქათა-  
მიციოთ ორი ფეხი აბია! — თქვა სოსომ და  
საოცის თანამდებობა.

— თაღო, ერთი ეგ კაკლები ისევ თა-  
ვის პლატის დააწყევ, ახლა მოდი მე და  
შენ ვითამაშორ და გიორგი კი გვია-  
ტორის, კაკლაობა რიგორუ უნდა. სკელი  
შხარე ჩერე და შუალი შენი, — თქვა  
სოსომ და ქვას დახედა. ქვა გულალძა  
სკელი გვირცით დაისა.

— ა, ყოჩან, სალა! ხედავ, თადო, პირველი გარტყმა ჩემია.

სოსო ქვას ხელმეორედ დაწვდა და კარგა მოშორებით ჩამწურილ ქაუ-



ლებს რომ გახედა, თავი გაიქნია და თადოს სიცილით უთხრა:

— აი, შე თალღითო, შენა! ერთი ვერ-სის სიშორით რომ დაგიწყვდა, განა, ეგ ჯერია?! მაგრამ იყოს, იყოს, მაგასაც მოვუხერხებ რამეს,— თქვა ჯუღაშვილმა. ნაბიჯი წინ წადგა, დაიკუზა და ხელის მარდი გაქნევით სალა დედამიწაზე, როგორც ყინულზე, სწრაფად გაასრიალა.

გამწერივებული კაქლების შუაგულს სალა ისე ღონიშვად მოხვდა, რომ ერთი იქვე დაანაჭუქა, დანარჩენები აქეთ-უქით შორს გაფანტა.

— ჯან, ბიქო! ვენაცვალე შენ მარჯვენას! — სიხარულით წმონძახა გიორგიმ და გაფანტულ კაქლებს დაედევნა.

— აი, სოსოჯან, ღმერთმა შეგარგოს! შენთვის, ძმაო, ალალია, ალალი!!-აღტაცებით უთხრა გიორგიმ და კაკლები სოსოს გაუწოდა.

— მე რად მინდა ეგ კაქლები? შენ-თვის ჩამიბარებია, — უთხრა სოსომ გიორგის და მერე ხინწინშვილს მიუბრუნდა.

— მიდი, მიდი, თადო, რაღასა დეგხარ? სანამ ზარი დაირეკება, ერთ გათამაშებას კიდევ მოვასწრობთ. ჰა, ხომ არ გენანგბა სხეისი კაკლების დაწყობა?! — ირონიული ღიმილით უთხრა სოსომ ხინწინაშვილს, რომა ბიქს რაღაც ყუყმანი შე-

ნიშნა.

— სხვისა რად იქნება, მოგებული გა-  
ნა სხვისია?!

უქმაყოფილო კილოთი ჩაილაპარავა  
თადომ და კაქლები მაინც ხელახლა ჩა-  
ამწეროვა.

— ას, ნეტავი ჩვენ ჩოფურა ილარიონს  
ზარის დარევა ორი წუთთ დაავიწყდეს,  
რომ თადოს ჯავრი სოსომ ჯიგრიანად  
ამომყაროს!

— მერე შენ რა? — წაუტია გულმოსულ-  
მა თადომ. — ჯუღაშვილმა რომ გაიმარჯ-  
ვოს, შენ რა მოგემატება, შენ ისევ ეგრე  
დონდლო და პირლია დარჩები, როგორც  
ებლა ნარ.

— დონდლო რად იქნება? — გამოექო-  
მაგა ამხანაგს ჯუღაშვილი. — არ გახსოვს,  
ქართული ენის მასწავლებელმა გიორგი  
როგორ შეაქო, განა მართლა კაქლების  
მსგებას საქმე? მაგრამ იქით, იქით, თა-  
დო, აგრე ილარიონი ზარის დასარეკად  
მიღის. ჩამოდექი მეტქი! — აჩქარებით  
წამონძახა სოსომ და სანამ ბაჟუები სკო-  
ლის აივნისაკნ გაიხედავდნენ, ზარის  
ჩამორეკამდის სოსომ კაქლები სალას ისევ  
შორს გააფანტვინა და გიორგის მიმარ-  
თა:

— გასწი; ბიქო, წამოერიბე, თადოს  
დღეს ეს ვაკმაროთ და მერე საცა თავი-  
სი თქვას, იქ ჩვენსასაც ნუ დაივიწყებს.





ფანჯარასთან ფანჯრით ხელში  
ზის, წერილს წერს თამარ ქალი:  
„მოგვითხავ... გეოცნი ყელში,  
საყვარელო ძია სტალინ!“

გეოცნი შორით და გილოცავ  
დაბადების დიად წლისთავს;  
შენს ცხოვრებას გასაოცარს  
ვსწავლობთ დღიურ მაგალითად!

ძიავ, პირზე კოცნას ვუთვლი  
ჩვენს უცნობ დას – შენს ნათელის;  
შემდეგ მიეწერ მას საკუთრივ,  
არ დავხოვავ ქალალდ-მელანს!

ხილეულისაც არ მოგაკლებთ:  
მოგაწოდებთ მანდარინებს,  
ჩირს, ჩურჩხელებს, წითელ ვაშლებს,  
დაბრძანდით და მოულხინეთ!

იუსტიციაში

# იოსებ ჭულაშვილი გორის სახლიერო სასწავლებელში

(ეპიზოდები სტალინის მოწაფეობის დროიდან)

გორის რეინისგზის სადგურიდან ქალაქ გორისაკენ რომ წახალოთ, ხიდის გავლისთანავე გადახვალთ ლენინის ქუჩაზე (ყოფილი სამეფო ქუჩა). ხიდიდან მარცხენა მხარეს იდგა ორსართულიანი დიდი შენობა მრავალი ოთახით. ეს შენობა ახლად აგებული იყო და თავისი სილა. მაზით გამვლელთა ყურადღებას იპყრობდა. ეს ოთხლასიანი სასულიერო საწავ-

ლებლის შენობა იყო. ამ სასწავლებელს დასავლეთით დიდი ეზო ჰქონდა, რომელსაც ჩამოუდიოდა მდ. მტკვარი და ლიახევი. შენობის ოთხხედიდან დილიდან საღამომდის ისმოდა მოსწავლეთა შეუწყვეტელი კვიკლ-ხიკილი.

ასე იყო 1889 წლის შემოდგომაზე სასწავლო წლის დასაწყისშიაც.

„კრგად მახსოვეს, — წერს თავის მოგო-

ნებაში ვანო კეცხოველი, — ენკენისთვის მიწურული, მზინი დღე იყო მთელი სკოლის მოწაფები, დიდი და პატარა, შეკვენებისას კუველა გამოშლილიყო სკოლის ეზოში. ეზოს ერთ კუთხეში შეგროვილიყვნენ ჩემი განცალილების (საშუალო მოსამადებელი) მოწაფები და მეც გავექანე მათკე.

მისვლისთვანევე შევამჩნიე, რომ მოწაფების შუა იდგა ჩემთვის სრულიად უცნობი ბიჭი, გამოწყობილი მუხლებამდე გრძელ შავ ახალუხში, ახლად შეკერილ ყელიან ჩემებში, წელზე შემოქერილი პეტონდა ტყავის პრტყელი ქამარი, თავზე ეხურა შვი მაუდის კარტუზიანი ქუდი. რანად გამხდარი იყო. სხვ თდავ ფერმკრთალი, ეს იყო ამხანაგი სოსია ჯუდაშვილი<sup>1)</sup>!

სასწავლებელში შესვლის პირველ ხანებიდანვე იოსებ ჯულაშვილმა მიიპყრო საყველთაო უურადღება როგორც ქარგმა მოქრივები, მობურთვევები, საუკეთესო მოწაფებ და შესანიშნავი ხმის პატრონმა. გიორგი ელისაბედაშვილი იგონებს:

„ვინ გაიმარჯვა კრიუში? — სოსომ; ვინ წაექცია ვიდაბაში ამხანაგი? — სოსომ; ვინ გიორგი წრიდან მოხერხებულია რა კაბარი და რიგინად აუხურა ფეხში წრეში მდგომს? — სოსომ; ვინ გაჰკრა უკელაზე შორს ბურთი? — სოსომ; ვინ კითხულობს კუვლაზე მეტ წიგნები? — სოსო; ვინ არის ამხანაგური გრძნობით კუელაზე მეტად გატაცებული? — სოსო; ვინ სწავლობს კუელაზე უკეთესად? — სოსო; ვინ მღერის კუელაზე ტებილი ხმით და მოხდენილად? — სოსო“.<sup>2)</sup>

სასწავლებელში სულ მალე, იოსებ ჯულაშვილის გულმოდგინ შეცადინეობითა და შეთაურობით, მოწაფეთა ლიტერატურული წრე ჩამოყლიბდა. ამ წრეში იოსებ ჯულაშვილის გარდა შედიოდნენ: დ. გოგოხია, პ. კაპანაძე, მიშა დავითაშვილი, ვანო კეცხოველი, კოტე ჩურქერშვილი, გ. გლურჯიძე, ალექსანდრე ციხითათრიშვილი, გიორგი გიგიტაშვილი, სოსო ირემაშვილი, ვასო ხახანაშვილი, სანდრო კავსაძე, პეტრე აღამაშვილი და სხვები.

<sup>1)</sup> ბარეს — ერებუს — ლენინის იმპტიტურის თბილისის ფრანგი, ფრთხი 34, საქე № 99 ა.

<sup>2)</sup> შარეს — ერებუს — ლენინის იმპტიტურის თბილისის ფრანგი, ფრთხი 34, საქე № 13.



გორგის ციხე მე-19 საუკუნეში

ხენებული წრის წევრი თავის ხელ-მძღვანელად სრულიად ღირსეულად თვლილნები ისება ჯუღაშვილს და ისიც შეძლებისამებრ უძღვოდა წრეს. აღნი-შნული ლიტერატურული წრის წევრი ვა-ნო კეცხოველი გვამზობას:

„იქ, სადაც ამხანაგი სოსო გაჩნდებო-და ხოლმე, უეკველად მის გარშემო შეიქნებოდა მოწაფეთა ჯგუფები და თითქოს ბრძანებას ელიანო, ისე ვიყა-ვით გამზადებულნი. მისი სიახლოვერო-გორდაც ყველას ახარებდა და მასთან ყოფნის დროს უფრო მხნდე და თავი-სუფლად გრძნობდა თავის თავს ყველა ჩვენგანი.

ამხანაგ სოსოს უყვარდა წიგნების კითხვა, ხელში უჭირავს ი. ჭავჭავაძის, აღ. ყაზბეგის და სხვების ოხულებები, კითხულობს მათ გაფაციცებით და მსჯე-ლობს სხვადასხვა ტიპებზე. ეხლა (უფ-როს კლასში) ამხანაგ სოსოსთან მიღიან არა სათამაშოდ, არამედ მისი აზრის, შე-ხედულების გასაგებად ამა თუ იმ მო-ქმედი პირის შესახებ.

უნდა ითქვას, რომ მისი გამოთქმული აზრი ჩვენთვის რატომდაც გადამჭრული იყო ხოლმე. ვლდილობდით შეეძათებას, სასტიკად გვამარტებდა. მიუხედავად ამისა, უფრო მეტი პატივის ცემით და სიყვარულით ვიმსჭვალებოდით მისდა-მი“. ۱)

იოსებ ჯუღაშვილი როცა რაიმე კარგ წიგნს წაიკითხავდა, მაშინვე წრის წევ-რებს წანაკითხის შინაარსს გადასცემდა და ურჩევდა თვითონაც წაეკითხათ იგი. წრის ერთგროვი წევრი, პეტრე კაპანაძე, მოვითხოვოდა:

„სოსო თუ რომელიმე რიგიანი წიგ-ნის შესახებ გაიგონებდა რამეს, უსა-თუოდ იშოვიდა და წაიკითხავდა. ამას-თანავე მას ერთი საუკეთესო თვისება ჰქონდა: თუ წაკითხული წიგნი მოეწო-ნებოდა, უსათუოდ ურჩევდა ამხანაგძეს, მათაც წაეკითხათ. მახსოვეს, ერთხელ,

ეგნატე ნინოშვილის „გოგია ურუბლებული“ წაკითხვის შემდეგ, ჩერნობან მოირჩია, მაჩვენა წიგნი და აღმოცხვის მიმიკა იმ უკურძაოთობაზე, რაც მომზრდის მიმიკა იყო დასაბათობული“<sup>2)</sup>.)

მართალია, გოგის სასულიერო ხასწავ-ლებელს თავისი ბიბლიოთეკა ჰქონდა, მაგრამ სასწავლებლის აღმინისტრაცია მოწავლებს ისეთ წიგნებს ურიგებდა, რომლებიც ოდნავადაც უკრ აქმაყოფი-ლებდა ლიტერატურული წრის წევრთა განვითარების დონეს. წრის წევრი იძუ-ლებული იყვნენ საკითხავი წიგნები სხვა-გან ემიგრაცია.

„სასწავლებელთან, — წერს თავის მოგო-ნებაში გ. გლურჯიძე — იყო, ბიბლიოთე-კა. როცა ჩერე წამოვიზარდენით, წიგნე-ბის კითხვამ გავვიტაცა. მართველობა გვაძლევდა წიგნებს, რომლებიც არ შე-ეფერებოდნენ ჩვენს გემოვნებას, და ამი-ტომ სათანადო ლიტერატურას საკითხა-ვად ვშოულობდით არსენ კალანდაძის-სვან, რომელსაც იმ ხანდა გოგიში წიგ-ნი ღუჯინი ჰქონდა გახსნილი. კალანდა-ძესთან ჩვენ ვშოულობდით აკაკი წერეთ-ლის, ილია ჭავჭავაძის, რაფიელ ერის-თავის და სხვათა თხულებებს“<sup>3)</sup>.)

განსაკუთრებული სუვარულითა და გატაცებით კითხულობდნენ ერთად შეკ-რისს ღირტერატურული წრის წევრები ილია ჭავჭავაძის „რამდენიმე სურათს ხასალის ცხოვრებიდნ“ და ალექსანდრე ყაზბეგის ნაწერებს. ვანო კეცხოველი იღონებს:

„ცვლაზე ძლიერ გვიყვარდა „კაკო ყახალი“, რომლის წაკითხვის დროს ცა-ვი ტურანტელი გვივლიდა ტანში, ზაქ-როს მოხუცი მამის გალახვის სცენას ჩვენი თვალები ცრამლებით აუვსია. ალ-ყაზბეგის გმირები კიდევ პატრიოტულ გრძნობებს აღვივებდა ჩვენს ნორჩ გულ-ში“<sup>4)</sup>.)

1) ბარქე—ენგლებ—ლურინს იმსტიტუტის თბილისის ფი-ლალი, ფუნდი № 34, საქვე № 10.

2) „Рассказы старых рабочих Закавказья...“ 1927 წ. გვ. 17-18.

3) ბარქე—ენგლებ—ლურინს იმსტიტუტის თბილისის ფი-ლალი, ფუნდი № 34, საქვე № 99 ა.

ლიტერატურული წრის ის წევრინი, რომელთაც ცოტად თუ ბევრად ხატვა ემარჯვებოდათ, ეჯაბრებოდნენ ერთმანეთს ისტორიული პროექტების, კლასიკურებისა და მათი გმირების დახატვაში. ამ შეჯიბრებაში იოსებ ჯულაშვილიც იღებდა ხოლმე მონაწილეობას.

—ჩვენ კლასში,—მოვგითხრობს პეტრე ადამიაშვილი, —იყო ერთი ამხანაგი, თუ არ ვცდები, ბასიაშვილი, რომელსაც ხატვა ძალიან ეხერხებოდა. ის იყო, ასე ვთქათ, პორტრეტისტი, მოქმედი ხან ილიას, ხან აკეკის, ხან კიდევ ყაზბეგის სურათები. მაგრამ მთელი კრასის ყურადღება ბოლოს თამარ მეფის სურათით მიიქცა.

ეს გულში ჩავარდნოდჲ სოსოს. კლასში ისიც ხატვადა. მაგრამ ბასიაშვილის თამარ მეფებზე მასში აღძრა მეტოქეობის სურვილი. ერთი თვის განმავლობაში არათერ არ მოუტანა ნახატებიდან,

აი, შენელდა თამარ მეფის სურათის მიერ მოხდენილი შთაბეჭდილებაც, ბოლოს სულაც მივიკიწყო, სწორედ ამ დროს შემოიტანა სოსომ შოთა რუსთაველის სურათი, კარგა ვებებრთელა ქალალცხე, და შეუმჩნევლად შუა კედელზე ჩამომკიდა.

როცა თვალი შევავლეთ, ჩვენ აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა, დამარტინდა ბასიაშვილი, რომელმაც აღიარა, რომ ამნაირად მე ვერ შევძლებ ამის დახატვასო. სურათი ყურადღების საგნად გადაიკცა. ნახეს მასწავლებლებმაც.

შა წავლებლებს არ სჯეროდათ, რომ ეს მისი ნახატი იყო, მაშინ გაჯავრდა სოსო და დასვენების დროს კველის თანადასწრებით იგივე სურათი დახატა, ოღონდ უფრო მნიალურული სახით<sup>1)</sup>.)

1893 წელს, როცა იოსებ ჯულაშვილი გორის სასულიერო სასწავლებლის მესამე კლასში იყო, დაწყო მზადება რაფიელ ერისთავის იუბილეს ჩახატარებლად. ლიტერატურულმა წერებ დაავალა იოსებ ჯულაშვილს დაწერა რაიმე რაფიელ ერისთავის საიუბილეოდ.

<sup>1)</sup> ჩარტა—ერება—ლენანის იმპერიუმის თბილისის ფინანსი, ფონდი 34, საქე პ 292.

ამხანაგმა იოსებმა ეს დავალება მაშინვე შესარულა. სამწუხაროდ, იუბილემ ლროვილი დაიგვიანა. იგი გაიმართა 1895 წლის 22 ოქტომბერს, როცა იოსებმა სასულიერო დაშვილი უკვე თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლობდა. მაგრამ შრომის ტყუილად არ ჩაუვლია. ამხანაგ სტალინს მიერ გორის სასულიერო სასწავლებელში ყოფნის დაწერილი რაფიელ ერისთავისამი მიძღვნილი ლექსი დაიბეჭდა 1895 წლის განეთ „ივერიის“ 29 ოქტომბრის ნომერში.

გრიგოლ გლეურჯიძე ამის გამო თავის მოგონებაში წერს:

„რაფიელი ერისთავის იუბილე იყო გადასახდელი, ამხანაგებმა სოსოს დაავალეს ამის შესახებ რისამე დაწერა. არ მასსაც რომელ გახეთში, ამხანაგმა სოსომ მოათავსა ლექსი სხარტი და შინაარსიანი. მიუხედავად იმისა, რომ რაფიელი, როგორც გლეხის მოსახლე, ბოძოლის გზას ვერ სახავდა მდგომარეობის გასაუძველებელდად, ამხანაგი სოსომ მაინც იწონებდა რაფიელს, როგორც აღმიშვნელს გლეხის გაპირვებული მდგომარეობისა. მაშინ ამხანაგი სტალინი მესამე კლასში იყო.<sup>2)</sup>)

აი თვითონ ლექსიც:

#### საზოგად მისითახს

როს მშრალელ გლეხთა ვაეპით  
საბრალოდ აცრებლებული  
ზეცას შემცენესდი, მგოსანო,  
ერისთვის თავ—დალებული;  
როს ერის კეთილდღეობით  
საამოდ აღტაცებული  
სიმთ აეღერებდი ტებილ ხმაზედ,  
ვით ზეცით მოვლონებული;  
როს დავგალობდი სამშობლოს,  
ის იყო შენი ტრფიალი,  
მისთვის გაშექნდა შენ ჩანგასა  
გულის — წარმტაცი წერიალი....  
მაშინ, მგოსანო, ქართველი  
თურმე ციურს ძეგლს გრებდა  
და წარსულს შრომას, ვაეპას

<sup>1)</sup> ჩარტა—ერება—ლენანის იმპერიუმის თბილისის ფინანსი, ფონდი 34, საქე პ 84.

აწმყოთი გრგვირგვინებდა.  
შენმა სიტუვებმა მის გულში  
უკვე გაიღდა ფუსკა,  
მოძევა, წმინდა მცხოვანი,  
რაც სიყმით დაგითხსია;  
ნამდგლად იხმარე ერისგან  
გრძნობით ჰაერში ძახილი:  
„ვაში, რაფიქლ! გამრავლდეს  
მამულში შენებრი შევილი!!!“<sup>1)</sup>

გორის სასულიერო სასწავლებლის  
ლიტერატურულ წერსთან ჩამოყალიბებული იყო სცენისმოყვარეთა ჯგუფი, რომელიც თავის წარმოლებებს გორის გრძეთაც აწყობდა. სცენისმოყვარეთა ჯგუფში ხანდახან ითხებ ჯუღაშვილიც იღებდა მონაწილეობას. ვასი ხახანაშვილი ამხანაგ სტალინზე დაწერილ მოგონებაში ამის გამო წერს:

„ერთ დროს ჩვენ გაგვიტაცა თეატრმა და ვიღებდით ხოლმე აქ მონაწილეობას სცენის მოყვარეთა მიერ გამართულ წარმოდგენებში. მასხვევს სოსო მეჩექმის ბიჭის როლში (ვალერიან გუნიას ვოდევილ „არც აქეთ, არც იქითში“). უნდა

აღვიშნო, რომ ამ როლს სოსო 13-  
14 წლისა სამაგალითოდ ასრულებდა /  
სცენის მოყვარეთა ჯგუფი, რომელთა  
უმთავრესად მოწაფეთაგან შესდებულისაც იყო  
წარმოლებებს მართვდა არა მარტო  
გორში, სოსომ აქტივური მონაწილეობა  
მიღიღ წარმოლებების გამართვაში ცხინ-  
ვალშიცაც“<sup>2)</sup>.)


აღნიშნულ სასწავლებელში პედაგოგ სიმონ გოგლინიძის მეთაურობით მოწაფეთ საგალობელი გუნდი იყო ჩამოყალიბებული, რომელთა უმრავლესობა ლიტერატურული წრის წევრები იყვნენ. მათ შორის გამოირჩეოდნენ: იოსებ ჯუღაშვილი, სოსო ირემაშვილი და სანდრო კაცაძე, პეტრე აღაშვილი გვიამბობდნენ:

„სოსო (ჯუღაშვილი) შესანიშნავად გალობდა. განსაკუთრებით აუწერელ შთაბეჭდოლებას სტოვებდა იგი ტრიოში, თითონ პირველი დისკანტი იყო. სოსო ირემაშვილი აღტი, ხოლო სანდრო კაცაძე ბარიტონი“.<sup>3)</sup>

1) გახვთი „ოფერი“, 1895 წ., № 234.

2) მარქს—ენციკლიკა—ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალი, ფონდი 34, საქე № 306.

3) მარქს—ენციკლიკა—ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალი, ფონდი 34, საქე № 292.



გორის სასულიერო სასწავლებელი, საზაც სწავლობდა სტალინი.

იოსებ ჯუდაშვილის ინიციატივით ჯგუფმა ხელისუფლებისაგან მიიღო ნებართვა საერო ხასიათის სიმღერების შესრულებისა. „სოსოს ხელმძღვანელობით, — წერს სიმონ გოგლიჩიძე, — „უფალო, დაღად გვყვავ შენდამი“ და „ღმერთი და უფალი გამოვცინდა ჩვენ“-ის მაგიერ ყველას ყურებს ატქბობდა სოსოს მოხდენილი ქართული ტქბილი სიმღერა: „ჩაუტტეთ და ჩაუტტეთ ბარათაშვილსა“, „კურდელელი ჩამოცანაცალდა ფეხმოტენილი, საწყალი“, „ვაი შენ, ჩემო თეთრობატო“, „შენ ჩემო და ლორო“, „სამგრისა მინდოორზედა“, „თეთრი გოგო მიგოგავდა“ და სხვა. ამ სიმღერებს ასრულებდა სოსოსთან ერთად მისი ჯგუფი. ეს სიმღერები და სხვებიც მოთავსებული იყო კომპოზიტორ ანდრია ბენაშვილის საეკლესიო კრებულში და, ვთქმირობ, სოსო ამით სარგებლობდა“.<sup>1)</sup>

ლოტერატურული წრე როცა რამე საღამოს მოაწყობდა, ეს საღამო მათ აუცილებლად საკონცერტო ნომრებით უნდა დაესრულებინათ. ხშირად კი წრე მარტო მუსიკალურ კონცერტებს მართავდა.

როცა იოსებ ჯუდაშვილმა და მისმა რამდენიმე ამხანაგმა გორის სასულიერო სასწავლებლის დასრულების შემდეგ თბილისის სასულიერო სკონიარიაში განაგრძეს სწავლა, მათ ურთიერთობა არ ჟერულიათ, ისინი კვლავ განავრძობდნენ საღამოებსა და კონცერტებში მონაწილეობას.

ალექსანდრე ციხითათრიშვილი ამხა-

ნაგ სტალინზე დაწერილ მოგონებაში ამის გამო შედევება წერს: „გორის სასულიერო სასწავლებლის შემდეგ სოსო სემინარიაში მიიღოს სახელმწიფო ხარჯზე. მაგრამ სოსოს გორელ ამხანაგებთან კავშირი არ შეუწყვეტია. ვგონებ, 1896 წელს უნდა ყოფილი იყო. ერთხელ სანდრო კავსაძე ეწვია გორის თავისი ახლად შედგენილი გუნდით. მის კონცერტს აუარებელი ხალხი დაისწრო.

ადგილობრივმა ძალებმაც გადაწყვიტეთ, რომ პატარა გუნდი ჩვენც შევვადგინა, შეეცირიბენით გორში დარჩენილი და არდადეგებზე მოსული ამხანაგები, მათ შორის სოსოც იყო, და სიტყვა საქმედ იქცა.

ლოტერატურული ავირჩიეთ გიგა ხუციშვილი, შევამხადეთ საუკეთესოდ სიმღერები, რეპერტურაში შედიოდა: „ჩაუტტეთ და ჩაუტტეთ“, „წარვედ წყლის პირსა“, „გაფრინდი“, შავო მერცხალო“, „მზაავრები“, „ჩერჩხინთა“, „მიდის გემი, ჩერა ჩასხედით“, „რატილისა“, და სხვანი.

პირველი კონცერტი გორში ვერ გავბეჭდეთ, ვინაიდან სანდრო კავსაძის მიერ დატოვებული შთაბეჭდილების გაქარწყლება არც ადვილი იყო. სამაგიეროდ ჩვენ ამოვარიჩიეთ ცხინვალი, სადაც უნდა გვიყდნა ჩვენი ნიჭი და უნარიანობა.

ლოლის 10 სათი იქნებოდა. უკვიცხინვალში ვიყავით. აქ დაგხვედა ჩვენი გულითადი ამხანაგი ვასო ხახანაშეიღო, შემდეგ ვინახულეთ დათა მაჟავარიანი და სხვები. მაჟავარიანმა მასპინძლობა გავეწია სამ ამხანაგს, რომლებთანაც ძალიან დაახლოებული იყო, სახელდობრ მე, სოსოს და კოტე ჩიტერაშვილს. წა-

<sup>1)</sup> ჩარქე—გრეგორი—ლექციის იმსტრუმენტის თბილისის ფილიანი, ფონტი 34, საჭე № 130.


გვეცვანა სოფ. დევრის ში, საღაც კარგად  
ვისიამოვნეთ და დავისვენეთ.

მეორე დღეს ცხინვალს ვესტუმრეთ  
და ჩვენი კონცერტით გავახარეთ დამსწრე  
საზოგადოება. დიდი იყო აღფრთვანება,  
დიდი იყო აქტივით წევა, რომ სტუმ-  
რობა გაჩაღებულიყო, ზაგრამ სოსოს

ამხანაგებით არ ეცალა და დაებრუნა-  
დით".<sup>1)</sup>

ორიოდე კვირის შემდეგ ჯგუფმა მოაწერა  
რიგი კონცერტი სურამში მოაწყო. კონცერტისა  
ცეკვის შოთა წმინდაში მოაწყობდნენ: სოსო ჯუ-  
ლაშვილი, დათა სალარიძე, არჩილ ბე-  
გოძევ და სხვები.

1.) ჩარტა—ენციკლიკა—ლენინის ინსტრუმენტის თაღლისის ფო-  
ლიალი, ფონდი 34, საქე № 298.



## სახელო ერენგი

# ტურქ გეზიზის სახელი

ამ პატარა სახლის ახლოს  
ნეტავ მქონდეს საღმე ბინა,  
ყოველ დილით რომ ვუცირო  
აივანს და სახლის ბრწყინვას.

შევარხიო ეს ბუჩქები,  
ყვავილები წითელგულა,  
დავკრიფო და იმ სურაში  
ჩავდო კოხტა თაგულად.

სიყვარული ამოქვარგო,  
არ დავაქენო არასოდეს...  
ამ ოთახში ნარწევ აქვანს  
მუდამ ასე შეეხაროდე...

ახლაც თითქოს მართლა მესმის  
მოკისყისე ბავშვის მღერა,  
ჯობის ცხენზე გადამჯდარმა  
მიწა ძალზე აამტვერა.

ოთახშიაც შეირბინა,  
გაიგრილა წყალით გული,

გადმოევლო მოაჯირს და  
დარბის ისევ მხიარული.

ანდა გულს რა შეუტოვებს,  
საჭიდაოდ იწვევს ბავშვებს,  
პურითაც ხომ ღლუებება  
და ხმაურით ეზოს ავსებს...

მეც ის სურა მსურს ავასო  
ნატატარის ცივი წყალით,  
მივართვა და თამაშობა  
მოვაგონო ძია სტალის.

კიდევ ისიც, რომ შემძლოს,  
გავუგზავნი შარბათს სურით,  
სურას, მორთულს ყვაილებით,  
გავაყოლებ თან დიდ სურვილს:

მისი ზრუნვა, მზის კაშაშით,  
არ მოგვაულდეს არასოდეს,  
კრემლის თავზე მბრწყინავ  
ვარსკვლავს  
მუდამ ერთად შეეხაროდეთ.



# კიროვთან

ვალიულია მარტოსონი პატარა ბიჭი იყო, მაგრამ მეტად ცოცხალი, ცეკვიტი, სულ ფუსტუსი ბდება, მისი ჰელიანი თვალები კვერ-ლას კურადღებას იქცევდა: თუ ამხანაგებ-ში თამაშობდა, მაინც ის პირველობდა, ხოლო არ უყარდა ტოლებთან ჩეუბი და ავალმყალი. ხანდახან ძალიან სასაცილო რამებს მოიგონებდა, აცინდებდა ამხანაგებს. ბოლოს თვითონ ისე ჩაიკლიდა ახარხა-რებულ, შეტი სიცილისაგან აურემლებულ ტოლებში, ვითომ აქაც არაფრია, არ ეცინებოდა, თანაც გაეკირებით იქ-თხავადა:

— የዚህ ስምምነት, የዚህ ተከራካሪ, አሁን አጠቃላይ  
በመሆኑን የሚያስፈልግ ይችላል?

— მსახიობი ხარ, ძმაო, მსახიობი,—  
კლავ ხარხარით მიაძახაბონინ ბიჭიბი.

ერთხელ ლენინგრადში ნიკიტი ბავშვების კონგრესი გაიმართა. ამ კონგრესზე გამოსვლა აძი ვალიურიას როგორ ასცდებოდა, იქ იყო ისიც უზარმაზარი დარბაზი საკვე იყო მაყურებლებით. მესამე რიგში იჯდა სერგეი მირონის-ძე კიროვი. დიდი ინტერესით უსმენდა იგი ბავშვებს და ხშირად გულიანად იცნობდა.

ვალიდია მატუსოების გამოსვლის რიგ-  
მაც მოაწია, სცენაზე თითქმის მორც-  
ხვად გამოვიდა პატარა, კონტა, ქერა

ბეჭი. მან ჯერ ხალხით გასცილ დიდ და-  
რბაზს გადავლო თვალი. ასეთ დიდ სა-  
ზოგადოებაში პირველად უხდებოდა გა-  
მოსცლა და აღარ ცოდა, სიდან დაეწყო.  
სქამის საზურებეზე მუტრდნობილი კიროვი  
უსქეროდა მას, ფიქრობდა: ვნახოთ, აბა,  
რას გვიჩვენებს ეს ბიჭით.

ვალოდიამ მორცხვული სიჩუმე უცებდაარღვია და იძლევა სცენაზე. დაამთავრა სმძლერა და შიიძალა. ატყდა ტაშის გრიალი, სანამ არ გამოვიდა, არ გაჩერდნენ, მერე უცნაური სიჩუმე ჩამოვარდა... იგი გამოვარდა სცენაზე, ცეკვავდა, ნიავივით დაქროდა. კიროვი ძალიან მოისიბდა მისი ცეკვით და იცანოდა. უკრავდა ტაშე. ვალოდია კილევ გამოვიდა, ახლა ბულბულს მიპარა, უცნაურად სტენდა. იგი ამის შემდეგაც ბევრჯერ გამოიყანეს, ხან ცხოველებს ბაძვდა, ხან ფრინველებს, ხან რომელიმე მუსიკალურ ინსტრუმენტს, რომელიც „ი მას ენახა და მოესმინა.“

პროგრამა ომ დასრულდა, ვალოდია  
მატუსოვი - კიროვმა დაიბარა. ვალოდია  
დარცხვენით ამბობდა:

— კიროვთან როგორ მივიღე?

— ისე, როგორც სხვებთან მიღიხარ,  
— გაათამაშეს.

— რისთვის მიპარებს, რა უნდა მით-

କେବଳ ଏହାରେ ମାତ୍ର ନାହିଁ ।

— ମିଳି ଲା ଶେଖ ତ୍ଵାରିକାନ ହୁଏ

— ၃၇။ မြန် ရှာ ပုလိုက် လောက်

— გამოიყენოთ გასწავლა! ვინ გასწავლა? —  
შეეკითხა კიროვი.

— არავინ, შევხედე და ვისწავლე.

— ମିଳ ନେଇବା ପ୍ରଥମକାରୀ—ଫାନ୍ଦା-  
ଶ୍ରୀରାଜଶ୍ରୀ ପାତ୍ର ମିଳି ଲାଗିଥିଲା.

— კორგად. მამა ქარხანაში მუშაობს, დედაც მუშაობს.

კიროვი ტებილი ღიმილით უცქეროდა ვალოდიას, თავზე ალექსინად უსვამდა ხელს, როგორც მამა. ბოლოს მისმართი გამოჰყოთხა და უთხრა:


— ვალოდია, მოდი ჩემთან სტელაში.

ვალოდია მატუსოვი გაცდა. რასაც არ ელოდა. ისეთი რამ გაიგონა, ცოტათი დაიბნა, მაგრამ მაინც უპასუხა:

— მოვალ, აუცილებლად მოვალ...

ამ სიტყვების შემდეგ გამოემშევდობა, გაეჭანა სახლისაკენ, აღარ იცოდა, როგორ მიღიოდა: მიფრინავდა, თუ მირბოდა. რამდენიმე დღის შემდეგ სმოლნიდან ღია ბარათი მოუვიდა. ბარათი კიროვისაგან იყო, თავისთან იბარებდა ვალოდიასა და მის ამხანაგებს. ისინი დანიშნულ დროს მივიღდნენ კიროვთან. კიროვი ძალიან კარგად შეეცება პატარებს, კარგახანს ისაუბრა მათთან, გამოჰყითხა, თუ როგორ სწავლობენ, რომელი საგანი უფრო უყვართ, მასწავლებელს ხომ არ აჯავრებენ. ბოლოს ვალოდიას ჰქითხა:

— გინდა თუ არა მუსიკის შესწავლა? ვალოდიას ამ კითხვაზე სიხარულის ფრთხი გამოიესა და უცებ უპასუხა:



— ჩემი ოცნებაც სწორედ იგ არის!

კიროვი კვლავ მოუერებით უსვამდა თავზე ხელს და წასვლის დროს დაპირდა:

— წადი ახლა შინ, დღეიდან მუსიკალურ სასწავლებელში ისწავლი სახელმწიფო ხარჯზე.

ვალოდია მატუსოვი და მისი ამხანაგები გახარებული გამოიქცნენ სმოლნიდან.



# მია სტალინს ამანათს უგზიავნიას

დღიდი სიხშრული აქვთ  
დღეს თამაზს და ფაციას,  
ციბრუტივით ტრიალებს  
კოსტა გოგო პაწია.

თამაზ გარბი-გამორბის  
სანოვაგის კალათით,  
სულ ავსეს მაგიდა  
მრავალი ამანათით.

ფაცია წნავს ნამჯის ლამბაქს,  
ოსტატია ნამდვილი,  
არსად არ ჩანს ნომცეცი  
განაკერი ადგილი.

ამბობს: „ბროლი, ფაიფური  
სტალინს ბევრი ექმნება,  
მე მივართმევ ხელთნაქნარს  
სანიმუშოს, საქებარს“.

ბრწყინავს თეთრი ლამბაქი  
დაწნულ სახელურებით,  
ნაპირგადმოყურსული  
ქარვისფერი შტევნებით.



აფრ სურა ბადაგით,  
ვერცხლის თასი წერიალა,  
ძველი, პაპის ნაქონი,  
დედამ გააპრიალა.

თეთრ სუფრიაზე ელვარებს  
ვაშლი წითლად ნაფერი,  
ფორთოხლები, კომშები,  
ხილი სხვადასხვაუფერი.

მაგრამ მარტო ეს არის?  
თამაზს მოაქვს სხვა რამე,  
ამბობს: „ძიას, მე ვიცი,  
ამით უფრო ვამებ.

რაა მასთან ლამბაქი,  
ფორთოხლები ან ვაშლი,  
ორბს ჰეგას ქიმზე წამომჯდარს,  
გასაფრენად ფრთაგაშლილს“.

დაღამდა ამ ფუსფუსში  
და გაიღო კარები,  
მამამ შემოანათა  
მხიარული თვალები.

„ეგ რა არის, ცელქებო,  
ეს რა მოგიგონიათ?  
ბელადს ეს გაახარებს?  
ეხ, რა ტყვილად გვინიათ!

წადით, სოხოვეთ „ოქტომ-  
ბრედს“  
მოგითავსონ ბარათი,  
ეს იქნება ყველაზე  
ძვირფასი ამანათი“.  
„მერე...“

„ეხლა თქვენ მიხვდით,  
როგორ უნდა დაწერა...?“  
„მესმის, — ამბობს თამაზი, —  
ვიცი სიტყვის დაჭრა...  
და დაწერს ცელქებმა:


„ძია სტალინს სალაში,  
სიცოცხლე, სიბარული,  
კვლავად დიდხანს გვატებობდეს  
ჩვენ შენი სიყვარული;

კვლავ ჩაგრულთა საშველად  
ეღერდეს შენი ნაღარა,  
დილის მზე პირცინცხალი  
გიკოცნიდეს ჭაღარას,

რომ ჩვენს ტურფა სამშობლოს  
არ მთავრდეს სინათლე,  
მუდამ დროშად გვიძლოდეს ეროვნულია  
სტალინური სიძართლე.

ჩვენ კი ძია, სიტყვას ვდებთ  
შენს სახელზე დიადზე,  
რომ დღეიდან ვისწავლით  
უსათუოდ ფრიადზე.

## ეკაკი ერევანიდე



### 8 თებერვალი:

1. ლია 2. გურიაშვილი
4. ვარდი 5. ია 6. ყაყაჩი

სანახაობა წარმოადგენს წალკოტს.  
მრავალ მცენარეს შორის დგას ვარდი,  
ია და ყაყაჩი.

პაუზა.

შორიდან მოისმის პატარების სიმღერა,  
რომელიც თანათან ახლოვდება.

ფრინველებში მერცხალს ვეტრფი,  
ყვავილებში ვარდს და იას,  
ბერნერი ბავშვობისთვის  
გაუმარჯოს სტალინ-ძია!

(გამქონებენ)

მიყვარს სიმღერა-თამაში,  
მიყვარს ხალხური სტაკინი,  
რომ გაეიზრდები, ვიქენები

ჩვენი სამშობლოს გმირი.

(გამქონებენ)

შემოვლენ ლია, გულნარა და გურა-  
მი! წალკოტით იხიბლებიან და ხალი-  
სით უცქერიან. ცოტახნით სიჩუმეა, მე-  
რე მლერიან:

ომ, წალკოტი: ვარდი, ია,  
ყაყაჩი და გეორგია,  
მიხაკი და მთის ყვავილი,  
ზამბაზი და ოქროს წვიმა.

დიღგულა და დიდყვავილა,  
ენძელა და ხარისძირა,  
შროშანა და მარგალიტა,  
სანთელა და შისუშშირა.

უკვდევა და უცვეოელა,  
ჯონჯოლი და ჯვარისანი,  
სამყურა და საქარულა,  
სასტრენა და მთის სოსანი.

გურამი — მარგალიტი მთის და ბარის,  
უცელა ქვეწის, უცელა ერის,  
წალკოტი და სიხალისე  
ათასგვარი, ათას ფერის.

გულნარა — ასე კოხტად, ასე ლაღად,  
მიკირს, როგორ იქარგება?  
ხან ბუნებას აკეკლუცებს,  
ხან კი ისევ იკარგება.

ლია — მთის და ბარის უცავილებო,  
რად კეკლუცობთ ათას  
ფერად?  
რად ხართ ასე მოქარგული —  
სულის, გულის ასაძერად?

ვარდი — მე წალკოტის სიტურევე ვარ,  
სიხალისე მიწის, ცისა,  
მე ბულბულის დობილი ვარ  
და შევლი ვარ, ჰეილი  
მზისა.

ია — ბუნება რომ გაიღვიძებს,  
მზე რომ მოპეუნს ბროლის  
სხივებს,  
შაშინ მიწა სითბოს იგრძნობს  
და ჩვენთვის ქსოვს ფერად  
მძივებს.

უაყაჩი — როცა დილა მიწის მჭყრლები  
ნათელ სხივებს აელვარებს,  
მდელო ცვარით იმას სჭმალულა  
ჩვენ საკვებად და გრძელებულა.

ლია, გულნარა და გურამი  
(ერთად).


მთის და ბარის უცავილებო,  
რად კეკლუცობთ ათას

ფერად,  
რად ხართ ასე მოქარგული —  
სულის, გულის ასაძერად?

ვარდი, ია და უაყაჩი (ერთად)  
რად ვართ ასე ლამზიზები,  
რად ვეკლუცობთ ათას  
ფერად?  
მზე გვაცხუნებს, ცვარნამი  
გვაქვს  
საკვებად და ალსაზრდელად.

ლია, გულნარა და გურამი  
(ერთად)  
მთის და ბარის უცავილებო,  
რად კეკლუცობთ ათას  
ფერად?

ვარდი, ია და უაყაჩი  
(ერთად)  
მზე გვაცხუნებს, ცვარ-ნამი  
გვაქვს  
საკვებად და ალსაზრდელად.  
გურამი — მზეო? ჩვენც გვაატ,  
უცავილებო,  
კაცი მზესთან შესადარი:




გამარჯვების სხივებს  
აფრქვევს  
ჩვენი მამა, ჩვენი სტალინ.

  
ბულბულივით „ტია-ტიას“,  
შეგვხარის და შექხარივართ  
ჩვენ მშობლიურ ცირკულაცია  
სტალინზების: ქართველი

ლია — სითბო ჩვენც გვაქვს,  
სიხალისეც,  
სულში, გულში გვატარებენ  
და ამიტომ ჩვენ თოპას  
უვავილნარებს გვადარებენ.  
  
(ბავშვები და უვავილები  
ერთად)  
და სამშობლო ნანას  
გვიმდერს, თამაში).

მაშ წალკოტი დაპტრეფს  
წალკოტს  
თაგულად, ლამაზ მტევნად,  
ზეიმია, დაპტარ დოლი  
ჩვენ სამშობლოს  
სადიდებლად!

(ფარდა)



## ბავშვები გეძერის შესახებ

### ჩემი საჩუქარი

დღეს შეგისრულდა სამოცი წელი,  
ძიავ ფოლადო, ტებილო იმედო,  
ჩემ პატარა გულს რა აქეს ისეთი,  
რომ შენს საჩუქრად არ გაიმეტოს...

ჩემი სამშობლო აყვავებული  
რარე სიამით მიხარებს თვალსა,  
ბედნიერებით მევსება გული,  
მეც გადაგიხდი ამაგს და ვალსა!

დაუზარებლად ვისწავლი მუდამ,  
შენი ბრძოლების ვიქნები მოდნე,  
მტრის ვერაგობას დაეხვდები მტრულად  
და მეგობრობას გავუწევ მოძმეთ...

იცოცხლე, ძიავ, იცოცხლე დიდხანს,  
შენით ხარობენ პაწია გულნიც,  
შენ გზას მივყვებით და ასე ვივლით  
მომავალშიაც გამარჯვებულნი...

თბილისის მე-18-სკოლის მე-4 კლასის ფრითოსანი მოსწავლე შედეგ ააღვესა.



# କ୍ଷେତ୍ରଗନ୍ଧି

(ଅନୁଷ୍ଠାନିକ)

ଶାପ୍ରାର୍ଥେଣନ ଦୀର୍ଘାଲୀନ,  
ହୃଦୟର ଦ୍ୱାରା ଦେଖାଇଲୁ,  
ଶେଷରେ ମୁଦ୍ରାର ମୁଦ୍ରାରିନ  
ମନ୍ତ୍ରପଦଶିଳାପ ଓ ପ୍ରେଷାଲିନ.

ଶ୍ରୀରତ୍ନ ଏଣିଲେ ଯେ ଦେଖାଇବା,  
ରନ୍ଧାରୁପ ପାରିଲୁ ପାତ୍ରରୀନ୍ଦ୍ରିୟରୁ  
ଦେଖିଲେ ମନ୍ତ୍ରମେଳିଲୁ ମନୋରୂପରୀଳି  
ଓ ବାଲିନିତ ପ୍ରଦେଶର ପ୍ରଦେଶ.

ମନୀରମାପ ଶେଷରେ ମୁଦ୍ରାରିନ  
ହୃଦୟର ବାଲିନ, ହୃଦୟ ଏଣି,  
ଶେଷ ଶେଷକିମ୍ବନ ରୂପିଲିଲୁ ବାନା,  
ଯେ କଥାରେବା ଦେଖିଲିଏଣି.

ଶ୍ରୀରତ୍ନର କ୍ଷେତ୍ରର ଶେଷ ମନ୍ତ୍ରପଦଶିଳା  
ଓ ପାରିଲିଲୁ ମନୋରୂପ ପାରିଲେ.

ଶାବଦ୍ୟେତିକ ବାଲିନ ମନ୍ତ୍ରପଦଶିଳା  
ଦ୍ୱାରା ପାରିଲିଲୁ ମନୋରୂପ ପାରିଲି.

ମୁଖ ଲାହୁ, ରନ୍ଧା ହୃଦୟ ପାରିଲିଲୁ  
ଓ ଶ୍ରୀରତ୍ନର ମନୋରୂପ ମନୋରୂପ;  
ରାଜୁର ମନୋରୂପ ଦେଖାଇଲୁ,  
ହୃଦୟ ଆମିରମ ଦେଖାଇଲୁ.

ଶେଷର ଫୁଲିରବଳ ହୃଦୟର ମନୋରୂପ,  
ପାରିଲି ଚାରିପାରିତମ୍ଭେବ ମନୀରମାପ,  
ତୁ ଦେଖିଲୁ ବାଲିନ, ଦେଖିଲୁ ବାଲିନ  
ପାରିଲି ମନୋରୂପ ଦେଖିଲୁ.

ମୁଖେବଳ୍ଲୟ, ଦେଖିଲୁ ଶ୍ରୀରତ୍ନର,  
ଶାପ୍ରାର୍ଥେଣନ ଦେଖିଲୁ,  
ଶେଷର ବାଲିନ ପାରିଲିଲୁ ମନୋରୂପ,  
ମନୋରୂପ ଦେଖିଲୁ ପାରିଲୁ.

ଅନୁଷ୍ଠାନିକ ମେ-18 କ୍ଷେତ୍ରର ମେ-4 କ୍ଷେତ୍ରର ମନ୍ତ୍ରପଦଶିଳା ପାରିଲାମ ଆଶାତିବାନ.

## ଶେଷର ପ୍ରେଷାଲିନ

ଶେଷ ପାରିଲିଲୁ କ୍ଷେତ୍ରର ପାରିଲିନ,  
ଶ୍ରୀରତ୍ନର ବାଲିନ ଦେଖିଲୁ,  
ଶେଷ ଦ୍ୱାରାପଦଶିଳା ପାରିଲି  
ଜାରି, ପାରିଲି ବାଲିନ ପାରିଲି.

ତୁ ଶାବଦିମନୋରୂପ ପାରିଲୁ,  
ଏଣିଲେ ମନୋରୂପ ପାରିଲୁ,  
ଦେଖିଲୁ ଶେଷର ବାଲିନ ଦେଖିଲୁ,  
ମନୋରୂପ ପାରିଲୁ.

ଶାପ୍ରାର୍ଥେଣ ଶାମିଲିଲୁ ପାରିଲୁ,  
ଶାପ୍ରାର୍ଥେଣ ଶାମିଲିଲୁ ପାରିଲୁ,  
ଶାମିଲିଲୁ ପାରିଲୁ,  
ଶାମିଲିଲୁ ପାରିଲୁ!

ଏ ଶାପ୍ରାର୍ଥେଣ ରାଜା ବାର,  
ଶ୍ରୀରତ୍ନର, ହୃଦୟ ଦେଖିଲୁ,  
ପାରିଲି ଶେଷର ବାଲିନ ଦେଖିଲୁ,  
ମନୋରୂପ ପାରିଲୁ!

ଅନୁଷ୍ଠାନିକ ମେ-10 ଶାଶ୍ଵତ କ୍ଷେତ୍ରର ମନୋରୂପ ପାରିଲୁ ପାରିଲୁ ପାରିଲୁ.





(გაგრძელება)<sup>1</sup>

## ირემა ხოჭო

მას რქები აქვს ირემივით,  
სიჩქარით კი ირემს არ ჰვავს,  
ის ხის სითხით იკვებება,  
დაფრინავს და დროს არ ჰქარგავს.

ყველა ხოჭოს სჯობს სიდიდით  
ეს ირემა წაბლისფერი,  
მამლებს ხშირად ჩხები უყვართ,  
ეგრისებათ თავ-კისერი.

## მესათლავე

ეს მწერები ჩვენ გვაძლევენ  
სარეცხლობას, განა ზინს,  
საქმე ცერ აქვთ დიდებული,  
თუმცა ხოჭო ლამაზია.

ყნოსვით შეისვე მმორს მიაგნებს,  
მერე მძიმე ჯაფაშია:  
გამოუხრის ქვემთ მიწას, —  
ლეში უკვე საფლავშია.

და თუ ლეში ბუჩქზე არის,  
ხახეთ უცხო სანახავი:  
აძვრებიან, რტოს ახხევენ,  
მოსხლეტენ და დაარხავენ.

მაგრამ განა მართლა ჩვენთვის  
უყვართ ასე თავდადება:  
ლეშს თავისთვის ინახავენ,  
წვრილ მატლების დასაკვებად.

(გაგრძელება იქნება)

## მარგორქა-ხოჭო

ცხვირზე რქა აქვს, არ შეეხო,  
თორემ გაგრავს, თორემ დაგსჯის,  
ხოჭო არ ქამს, ხოლო მატლი  
ცხოვრობს მდიდარ ნიადაგში.

მატლის სჭირდება ექვსი წელი,  
რომ ხოჭოებს შეუერთდეს,  
ფრთა რომ ჰქონდეს, დაფრინავდეს,  
და მერე კი ცოცხლობს ერთ თვეს.

## თხილის ცხირგრძელა

„რა მწარეა, ვამბობთ, კიას  
თხილში ვიღამ მისცა ბინა?“  
ეს მატლია, თეორი მატლი,  
იგიც ხოჭომ გააჩინა.

სახვრეტელით, გრძელ ხორთუმით,  
გამოხცირია თხილის კანი  
და შიგ ჩადგა არხეინად  
ერთი თვისი კვერცხთაგანი.

ამ კვერცხიდან მატლი გაჩნდა,  
მატლიც თხილით გამოძლება,  
გაიზრდება, სხვა ხვრელს გახვრეტს  
და თხილიდან გამოძრვება.

ძირს ვარდება, თავის ხელით  
სალუავს ითხრის — მიწის ფენს,  
შიგ ზის ქუპრად, გაზარხულზე  
ამძერება გასაფრეხად.

<sup>1</sup>. დასაშუალი იხილე „ძეტომბრელი“, № 11.

# საოცებო მამა სიმონ

შემსრულებელი თამარ შავერძის შემოსისა

სიტყვები ლიდა შიგრებისისა.

*Allegretto.*

წინ - ვით, ფა-შით, კის-კი-სით,

ქინ-ა-მა-ლით, ქინ-ა-ლით, მო-ლი-კა-ხით,

მო-კი-ლე-რით წი-ოული-ხი-ს ა-ქი-ა-ლი-თ.

გამარჯვება ოქტომბერს,  
ლამაზს ღილებიანსა,

ვარსკვლავებით მოჰედილს,  
მოქაშეშე მზანსა.